პროფესორ შოთა ვეშაპიძეს „უსმა/USMA“-ს სიგელი გადაეცა

2023 წლის 16 ივნისს პროფესორ შოთა ვეშაპიძეს „უსმა/USMA“-ს პრეზიდიუმის წევრმა, პროფესორმა დავით ობოლაძემ გადასცა „უსმა/USMA“-ს სიგელი ასოციაციის ორგანიზებით გამართულ სამეცნიერო კონფერენციაში: („21-ე საუკუნე- კულტურული უსაფრთხოების აქტუალური საკითხები"), მონაწილეობისა და საინტერესო მოხსენებისათვის („ილია ჭავჭავაძის ნააზრევის რეპრეზენტაცია: ეკონომიკა და ევროპული ღირებულებები“).

(იხ. ბატონი შოთა ვეშაპიძის მოკლე ბიოგრაფია)

2023 წლის კონფერენციაზე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შოთა ვეშაპიძე გამოვიდა მოხსენებით თემაზე, „ილია ჭავჭავაძის ნააზრევის რეპრეზენტაცია: ეკონომიკა და ევროპული ღირებულებები," რომელიც წარმოდგენილი იყო მონოგრაფიის მიხედვით *„შოთა ვეშაპიძე, კაცობრიული ღირებულებები ეკონომიკური ხედვით.“*

მოხსენების თემა ყოველთვის აქტუალურია, რადგან ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის საკითხს ეხება, რომელიც პერმანენტულად, სულ იდგა ჩვენს წინაშე და რომლის აღსადგენად და დასაცავად, ილია ჭავჭავაძე მთელი თავისი ცხოვრება დაუღალავად და მიზანმიმართულად იბრძოდა.

მსოფლიოში შექმნილი ამჟამინდელი რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიება ახალ ეკონომიკურ მიდგომებს და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ექსპერიმენტებს მოითხოვს. ამიტომ, ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მიდგომებით, მის მიერ დამუშავებული ეკონომიკური პროცესების კვლევის მეთოდოლოგიის ასპექტების დღევანდელობისადმი მისადაგებით, შესაძლებელია ადგილობრივი თავისებურებების გაანალიზება, დასაბუთებული ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღება და საქართველოს თანამედროვე გამოწვევების დაძლევის სწორი პრიორიტეტების განსაზღვრა.

დღეს უდავოდ აქტუალურია ილია ჭავჭავაძის ხედვა, ევროპის და სხვათა მოწინავე გამოცდილების დანერგვის შესახებ ისე, რომ არ დავკარგოთ ჩვენი ტრადიციები, ადათ-წესები, ჩვეულებები და ასე მოვიპოვოთ წარმატება, ანუ მას ოპტიმალურ სინთეზის გზით მივაღწიოთ. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს სწორი პოზიციონირება დიდ სახელმწიფოთა შეთანხმებაში.

თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში ცივილიზაციათაშორისი ბრძოლა ძირითადად ეკონომიკურ სფეროში ვითარედება. ცივილიზაციას აქვს უნარი სხვა ცივილიზაციური სისტემებისგან ისესხოს იდეოლოგიის ინსტიტუტები და ელემენტები, რომლებიც მათ აძლევს კონკრეტულ უპირატესობას ევოლუციურ ბრძოლაში.

იმისათვის, რომ სხვათა გამოცდილებას ეზიარო, უნდა იცოდე მათი ღირებულებების სისტემა და მსოფლმხედველობის საფუძვლები, რომლებიც ეროვნულ კულტურაში, ცივილიზაციურ იდეოლოგიასა და რელიგიაში აისახება.

დღესაც აქტუალურია ილია ჭავჭავაძის ნააზრევი მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში საქართველოს აქტიური ჩართვის აუცილებლობის შესახებ. დიდი ილიას კონცეფციის მიხედვით:

- ✓ *განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მდიდარი ადამიანური, ბუნებრივი და წიაღისეული რესურსების, კლიმატის, ჰავის, წყლის რესურსების ათვისება,*
- ✓ *კარგი სამიმოსვლო გზების განვითარება, ბაქო-ბათუმის რკინიგზის ეფექტიანი გამოყენება, ტრანსპორტის ყველა სახეობის, მათ შორის მილსადენების, განვითარება, რასაც დღევანდელ პირობებში ელეტრო და ინტერნეტგადამცემი მაგისტრალებიც ემატება,*
- ✓ *კავკასიის ნავთობის დიდი საბადოების ეფექტიანი ათვისება,*
- ✓ *ღვინის და სხვა აგრარული პროდუქტების მსოფლიო ბაზრებზე გატანისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.*